ანა დერიუგინა

SMK გამოყენებით მეცნიერებათა კოლეჯი, ლიეტუვა

10-14 ნოემბრის კვირაში, Erasmus+ პროგრამის ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის ტრენინგ ცენტრის ადმინისტრაციულმა მენეჯერმა, ანა დერიუგინამ, მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო კვირეულის პროგრამაში SMK გამოყენებით მეცნიერებათა კოლეჯში, ლიეტუვაში.

კვირეულის განმავლობაში უნივერსიტეტის წარმომადგენელი ჩართული იყო სხვადასხვა აქტივობებში, რომლებიც მიზნად ისახავდა უნივერსიტეტებს შორის საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებას. ასევე, აქტიურად მიმდინარეობდა კოლეგებს შორის სასწავლო პროცესების გაუმჯობესების შესახებ დისკუსიები. ასევე, პროგრამის ფარგლებში მონაწილეებმა წარადგინეს პრეზენტაციები და გააზიარეს თავიანთი გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიაწოდონ ცოდნა სტუდენტებს მაქსიმალურად ეფექტურად და ინოვაციურად.

ასევე, პროგრამა მოიცავდა კულტურულ აქტივობებსაც, რომლებმაც მონაწილეებს საშუალება მისცა უკეთ გაეცნოთ უნივერსიტეტის გარემო და ვილნიუსის, როგორც ქალაქის, ისტორია და კულტურა.